წერილის ნომერი: **01211873442**
თარიღი: **06/07/2021**
პინი: **9730**

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა მიმდინარე წლის 21 ივნისის №01211709-67 განცხადება, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, ვასო გოძიაშვილის ქუჩა №63-სა და №99ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.10.10.016.004, 01.10.10.016.009 და ნაკვეთებს შორის არსებული დაურეგისტრირებელი სივრცე; არსებული ფუნქციური ზონირება: საცხოვრებელი ზონა, სამრეწველო ზონა 1 და სატრანსპორტო ზონა 1; დაგეგმილი ფუნქციური ზონირება: საცხოვრებელი ზონა 6) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების საკითხს.

გაცნობებთ, რომ განცხადებლის მიერ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნაში საპროექტო ტერიტორიაზე აღწერილი **11 ძირი** (№28; №59; №78; №81-82; №182; №184; №186-189) მწვანე ნარგავი განეკუთვნება ხილკენკროვანთა სახეობას. ,,ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილების (შემდგომში - დადგენილება) 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 15 და მეტი, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე ხილ-კენკროვანი ნარგავის მოჭრას. გამომდინარე იქიდან, რომ ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავები განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას და რაოდენობა არ აღემატება 15 ერთეულს, მათი მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას.

ასევე გაცნობებთ, რომ კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და დადგენილების 26-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამსახური თანახმაა მოიჭრას საპროექტო ტერიტორიაზე აღწერილი **5 ძირი** (№76; №79-80; №179; №185) ჯანსაღი **თუთა** და **1 ძირი** (№83) ჯანსაღი **აილანთუსი** მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

რაც შეეხება საპროექტო ტერიტორიაზე არსებული, პროექტის განხორციელებისათვის ხელისშემშლელი მწვანე ნარგავების გადარგვის საკითხს, გამომდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნაში აღწერილი 8 ძირი მწვანე ნარგავის დიამეტრი არ აღემატება 25 სანტიმეტრს და ექსპერტის მიერ დადასტურებულია მათი გადარგვის შესაძლებლობა, დადგენილების 21-ე მუხლის 1^1 პუნქტისა და 21^2 მუხლის საფუძველზე, სამსახური თანახმაა გადაირგოს ზემოაღნიშნული **8 ძირი** (№60-65; №84; №181) მწვანე ნარგავი, მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

ამასთანავე, გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიაზე არსებული, საექსპერტო დასკვნაში აღწერილი **2 ძირი** (№77 D=25 - თეთრი აკაცია; №190 D=50 - თუთა) გადასარგავი მწვანე ნარგავის დიამეტრი აღემატება 25 სანტიმეტრს. დადგენილების მე-2 მუხლის 41-ე პუნქტის თანახმად, ხე, რომლის დიამეტრი აღემატება 25 სანტიმეტრს წარმოადგენს დიდტანიან ეგზემპლარს. ტექნიკური პირობების გათვალისწინებით, დიდტანიანი ხეების ბუნებრივი გარემოდან ამოღება/გადარგვა მოითხოვს ცალკეულ შემთხვევებზე დეტალური ინსტრუქციის მომზადებას მწვანე ნარგავების ფიზიკური მახასიათებლების, მდებარეობისა და სამუშაოს სირთულის მიხედვით. დადგენილების 21 მუხლის 1^1 პუნქტისა და 21^1 მუხლის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამსახური თანახმაა გადაირგოს ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავები მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, რისთვისაც

განმცხადებელმა უნდა წარადგინოს თითოეულ ხეზე უფლებამოსილი პირის მიერ ინდივიდუალურად შედგენილი გადარგვის ტექნიკური დოკუმენტაცია და წერილობითი დასტური იმ კომპანიიდან, რომელსაც გააჩნია შესაბამისი სპეცტექნიკა და განახორციელებს გადარგვის სამუშაოებს.

აქვე გაცნობებთ, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტის ფარგლებში, საპროექტო ტერიტორიაზე გასამწვავებლად შემოთავაზებული ხე-მცენარეების რაოდენობა (**არსებული:** 130 ძირი, **გადასარგავი:** 10 ძირი და **საპროექტოდ დასარგავი:** 30 ძირი ქართული ნეკერჩხალი, 20 ძირი ჩვეულებრივი იფანი (კოპიტი), 25 ძირი ქართული მუხა, 25 ძირი კავკასიური ცაცხვი, 40 ძირი ჰიმალაის კედარი, 25 ძირი იაპონური სოფორა (ნამყენი), 20 ძირი მელია აზედერახი და 20 ძირი უნგრული ცაცხვი; **ჯამში - 345 ერთეული**) სრულად ითვისებს დადგენილი გამწვანების (კ-3) კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს **(4 935 მ^2).**

იმის გათვალისწინებით, რომ გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავები გამოირჩევა მრავალფეროვნებით, (ხე-მცენარეების სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) და ისინი ქ. თბილისის კლიმატისა და ლანდშაფტის შესაბამისია, სამსახური თანახმაა წარმოდგენილი სახით შეითანხმოს გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, **სამსახური თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა.**

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

მრავალფუნქციური კომპლექსის დენდროლოგიური პროექტი



მესაკუთრე: შპს ჰილს კონსტრაქშენი
მისამართი: ქ. თბილისი, ვასო გოძიაშვილის ქუჩა №63 და №99ა
ს/კ:01.10.10.016.009; 01.10.10.016.004
ფართობი: 16438კვ.მ
კ-3 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი კ-3 – 4935კვ.მ
გამწვანების კოეფიციენტი კ-3=0,3

დამკვეთი: შპს ჰილს კონსტრაქშენი

შემსრულებელი: ა(ა)იპ გარემოს დაცვის ცენტრი

საკონტაქტო ინფორმაცია

საქმიანობის განმხორციელებელი კომპანია: შპს ჰილს კონსტრაქშენი

საიდენტიფიკაციო კოდი: 205276020

საკონსულტაციო კომპანია: ა(ა)იპ ,,გარემოსდაცვის ცენტრი‘‘

საიდენტიფიკაციო კოდი: 400291916

თავმჯდომარე: ილია ოქრომელიძე

საკონტაქტო ტელეფონი: (+995) 599 27 50 10

ელექტრონული ფოსტა: iliaokromelidze@gmail.com

მრავალფუნქციური კომპლექსის ურბანული განვითარების დენდროლოგიური პროექტი მომზადდა შპს ჰილს კონსტრაქშენის" დაკვეთით.

ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ვასო გოძიაშვილის ქუჩა №63 და №99ა-ში . ტერიტორიის ფართობი - 16438 კვ.მ მოიცავს 2 ნაკვეთს, საკადასტრო კოდებით

საკადასრო კოდი	ფართობი (კვ.მ.)
01.10.10.016.009	3608
01.10.10.016.004	12830

ყველაზე ოპტიმალური სივრცით-მოცულობითი გადაწყვეტის კონცეფციის თანახმად, ტერიტორიაზე იგეგმება მრავალფუნქციური კომპლექსის მოწყობა.

ტერიტორიისთვის საპროექტო წინადადებით განსაზღვრულია შემდეგი კონკრეტული ფუნქციური ზონა: საცხოვრებელი ზონა 6.

ტერიტორიის ფართობი - 16438 კვ.მ
კ3-კოეფიციენტი: 0.3
გამწვანების ფართობი კ3 კოეფიციენტის გათვალისწინებით: 4935 კვ.მ

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საპროექტო ტერიტორიის კ-3 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი არის 4935 კვ.მ, შესაბამისად აღნიშნული ფართობის ათვისება უნდა განხორციელდეს **205 ხე-მცენარით, რომელშიც გათვალისწინებულია საკომპენსაციო რგვა 7 ინდივიდის.**
ზემოაღნიშნულ საკადასტრო კოდების ტერიტორიაზე არსებული მდგომარეობით განთავსებულია 187 ხე-მცენარე, საიდანაც N162 ხე-მცენარე არ შედის წარმოდგენილ საკადასტრო კოდებში, თუმცა მოქცეულია ს/კ 01.10.10.016.004 და ს/კ 01.10.10.016.009 კოდებს შორის, ე.წ. ბუფერულ ზონაში.
ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარების მიზნით აღრიცხული ხე-მცენარეებიდან 12 ინდივიდი საჭიროებს გადარგვას, 15 ინდივი მოჭრას, საიდანაც 8 ინდივიდი ხილ-კენკროვანია. შესაბამისად გათვალისწინებულია 7 ინდივის საკომპენსაციო რგვა.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე იგეგმება 205 ხე-მცენარის დარგვა, რომელთა შერჩევა მოხდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ლანდშაფტისა და კლიმატისათვის შესაბამისი ხე-მცენარეების სახეობების სიიდან. დასარგვავი 205 ხე-მცენარიდან წამოადგენს 160 ინდივიდი წარმოადგენს ფოთლოვანს, ხოლო 45 ინდივიდი წიწვოვანს.

მწვანე ნარგავების განლაგების გეგმა
ქ. თბილისი, ვასო გოძიაშვილის ქუჩა №63 და №99ა.
ს/კ: 01.10.10.016.004 - 01.10.10.016.009

pandusi

N-3
12 სართული
0.000
471.00

N-2
9 სართული
0.000
472.00

N-1
ჯამში 15 სართული
1 სართული
0.000
472.00

transformatori

პანდუსი

ქუჩა

ს/კ: 01.10.10.016.009 - 01.10.10.016.004 - რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე განლაგებული ხე-მცენარეები:
ხე-მცენარეების სრული რაოდენობა 187 ინდივიდი
მოსაჭრელი: №28, 59, 76, 78, 79, 80, 81, 82, 83, 179, 182, 184, 185, 186, 187
გადასარგავი: №60, 61, 62, 63, 64, 65, 77, 84, 181, 188, 189, 190
ადგილზე შესანარჩუნებელი: 175 ინდივიდი

ს/კ: 01.10.10.016.009 - 01.10.10.016.004
ფართობი: 16438კვ/მ
კ3 - კოეფიცენტის საანგარიშო ფართობი: 4935კვ/მ
კ3 - გამწვანების კოეფიცენტი = 0.3

დასარგავი ხე-მცენარეების რაოდენობა 205 ძირი
ფოთლოვანი - 165 ინდივიდი
წიწოვანი - 40 ინდივიდი

ა(ა)იპ "ბარემოს დაცვის ცენტრი"	
დამკვეთი:	
შემსრულებელი:	ა(ა)იპ "ბარემოს დაცვის ცენტრი" ს/კ 400261916
თარიღი: 14/06/2021	ფორმატი: A3

დასარგავი ხე-მცენარეები შერჩეულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ლანდშაფტისა და კლიმატისათვის შესაბამისი ხე-მცენარეების სახეობების სიიდან (პრიორიტეტული ხეების სია)

დასარგავი ხე-მცენარეების სახეობები:



ქართული ნეკერჩხალი (*Acer ibericum*)



ჩვეულებრივი *იფანი* (*Fraxinus excelsior*)



ქართული მუხა (*Quercus iberica*)



კავკასიური ცაცხვი (*Tilia begoniifolia*)



ჰიმალაის კედარი (*Cedrus deodora*)



იაპონური სოფორა (ნამყენი) (*Sophora japonica*)



მელია აზედერახი (*Melia azedarach*)



უნგრული ცაცხვი (*Tilia tomentosa*)

დასარგავი ხე-მცენარეების რაოდენობა - 205 ძირი

მცენარის დასახელება	რაოდენობა	სიმაღლე მ (არანაკლებ)	გარშემოწერილობა სმ (არანაკლებ)	მახასიათებლები
ქართული ნეკერჩხალი (*Acer ibericum*)	30	3.5	20	გვალვაგამძლე, სწრაფად მზარდი
ჩვეულებრივი იფანი,კოპიტი (*Fraxinus excelsior*)	20	3.5	20	გვალვაგამძლე, სწრაფად მზარდი
ქართული მუხა (*Quercus iberica*)	25	3.5	20	გვალვაგამძლე, საშუალოდ მზარდი
კავკასიური ცაცხვი (*Tilia begoniifolia*)	25	3.5	20	ჩრდილის მოყვარული, საშუალოდ მზარდი
ჰიმალაის კედარი (*Cedrus deodora*)	40	3.0	20	გვალვაგამძლე, სწრაფად მზარდი
იაპონური სოფორა (ნამყენი) (*Sophora japonica*)	25	3.5	20	გვალვაგამძლე, სწრაფად მზარდი
მელია აზედერახი (*Melia azedarach*)	20	3.5	20	გვალვაგამძლე, საშუალოდ მზარდი
უნგრული ცაცხვი (*Tilia tomentosa*)	20	3.5	20	გვალვაგამძლე, საშუალოდ მზარდი

შენიშვნები: *ხე-მცენარეების დარგვისას აუცილებელია დაცულ იქნას აგროტექნიკის ნორმები; უზრუნველყოფილ იქნას მცენარეთა მორწყვა მთელი სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში.*









დენდროლოგიური პროექტის საინფორმაციო დაფა

დამკვეთი: შპს ჰილს კონსტრაქშენი ID:205276020

საპროექტო ტერიტორია - ს/კ: 01.10.10.016.009; 01.10.10.016.009

მიწის ნაკვეთის ფართობი: 16438 კვ.მ
მისამართი: ქ.თბილისი, ვასო გოძიაშვილის ქუჩა N 63 და N99ა

ნებართვის გამცემი ორგანო: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

გამწვანების კოეფიციენტი კ-3 = 0,3

პროექტით გათვალისწინებული გამწვანების კოეფიციენტი კ-3 = 4935კვ.მ

დასარგავი (საკომპენსაციო) ხე-მცენარეების სახეობები (205 ძირი)

30 ძირი ქართული ნეკერჩხალი (Acer ibericum) - სიმაღლე 3.5მ.-დან/გარშემოწერილობა 20 სმ-ზე მეტი/გვალვაგამძლე, სწრაფად მზარდი
20 ძირი ჩვეულებრივი იფანი,კოპიტი (Fraxinus excelsior) - სიმაღლე 3.5მ.-დან/გარშემოწერილობა 20 სმ-ზე მეტი/გვალვაგამძლე, სწრაფად მზარდი
25 ძირი ქართული მუხა (Quercus iberica) - სიმაღლე 3.5მ.-დან/გარშემოწერილობა 20 სმ-ზე მეტი/გვალვაგამძლე, საშუალოდ მზარდი
25 ძირი კავკასიური ცაცხვი (Tilia begoniifolia) - სიმაღლე 3.5მ.-დან/გარშემოწერილობა 20 სმ-ზე მეტი/ჩრდილის მოყვარული, საშუალოდ მზარდი
40 ძირი ჰიმალაის კედარი (Cedrus deodora) - სიმაღლე 3.0მ.-დან/გარშემოწერილობა 20 სმ-ზე მეტი/გვალვაგამძლე, სწრაფად მზარდი
25 ძირი იაპონური სოფორა (ნამყენი) (Sophora japonica) - სიმაღლე 3.5მ.-დან/გარშემოწერილობა 20 სმ-ზე მეტი/გვალვაგამძლე, სწრაფად მზარდი
20 ძირი მელია აზედერახი (Melia azedarach) - სიმაღლე 3.5მ.-დან/გარშემოწერილობა 20 სმ-ზე მეტი/გვალვაგამძლე, საშუალოდ მზარდი
20 ძირი უნგრული ცაცხვი (Tilia tomentosa) - სიმაღლე 3.5მ.-დან/გარშემოწერილობა 20 სმ-ზე მეტი/გვალვაგამძლე, საშუალოდ მზარდი

ხე-მცენარეების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი პირი: შპს ჰილს კონსტრაქშენი

გასაშენებელი ხე-მცენარეების მოვლის ხანგრძლივობა: 3 წელი